



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №3

2014 წლის 28 იანვარი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 50-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ამირან გიგინეიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა

№	საკითხის დასახელება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი და ორგანო
1	მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების მომზადება და ჩატარება	საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად	საკრებულოს აპარატი, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს თავმჯდომარე
2	მუნიციპალიტეტის საკრებულოს გასვლითი სხდომების მომზადება და ჩატარება	საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად	საკრებულოს აპარატი, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს თავმჯდომარე
3	მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომების მომზადება და ჩატარება	საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად	საკრებულოს აპარატი, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს თავმჯდომარე
4	მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გასვლითი სხდომების მომზადება და ჩატარება	საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად	საკრებულოს აპარატი, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს თავმჯდომარე
5	მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სხდომების მომზადება და ჩატარება	საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად	საკრებულოს აპარატი საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები
6	მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების სხდომების მომზადება და ჩატარება	საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად	საკრებულოს აპარატი საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეები

7	მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქალაქეთა მიღების ორგანიზება	პერიოდულად	საკრებულოს აპარატი, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე
8	შემოსული განცხადებების, საჩივრების, წინადადებების, წერილებისა და კორესპოდენციების რეგისტრაცია, შესაბამის სფეროებსა და თანამდებობის პირზე გადამისამართება და კონტროლი შესრულებაზე	სისტემატიურად	საკრებულოს აპარატი, საკრებულოს თავმჯდომარე
9	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს წევრების თათბირების მოწვევისა და ჩატარების უზრუნველყოფა	პერიოდულად	საკრებულოს აპარატი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე
10	საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში , პარლამენტში, მთავრობასა და სხვა ზემდგომ ორგანოებში გასაგზავნი ინფორმაციების მომზადება და მიწოდების უზრუნველყოფა	პერიოდულად	საკრებულოს აპარატი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე
11	საჯარო ინფორმაციის მომზადება და გაცემა მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად	პერიოდულად	საკრებულოს აპარატი საკრებულოს თავმჯდომარე
12	საკრებულოს დადგენილებების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულებების პროექტების საჯარო განხილვის დროს მოქალაქეთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა და დადგენილი წესით ბიუროსათვის წარდგენა	პერიოდულად	საკრებულოს აპარატი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე

13	<p>მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განსახილველი დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტების საჯარო განხილვა</p>	<p>პერიოდულად</p>	<p>საკრებულოს აპარატი, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს თავმჯდომარე</p>
14	<p>საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, კომისიების, ფრაქციების და მუშა ჯგუფების სხდომებზე ნორმატიული აქტების პროექტების მიმართ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვა და მათზე სათანადო რეაგირება</p>	<p>პერიოდულად</p>	<p>საკრებულოს აპარატი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე</p>
15	<p>მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს და ფრაქციების სხდომების ოქმების გაფორმება, ნორმატიული აქტების (დადგენილებებისა და განკარგულებების) პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა, რედაქტირება და დადგენილი წესით გამოქვეყნების ორგანიზება</p>	<p>პერიოდულად</p>	<p>საკრებულოს აპარატი, გამგეობის იურიდიული სამსახური, საკრებულოს თავმჯდომარე</p>
16	<p>მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენა</p>	<p>პერიოდულად</p>	<p>საკრებულოს აპარატი, გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე</p>
17	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება, შეხვედრებზე გამოთქმული წინადადებების აღრიცხვა და მათი შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი</p>	<p>პერიოდულად</p>	<p>საკრებულოს აპარატი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე</p>
19	<p>საკრებულოს წევრების მიერ მათი უფლებამოსილების განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა</p>	<p>პერიოდულად</p>	<p>საკრებულოს აპარატი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე</p>

20	<p>მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსული ნორმატიული აქტების (დადგენილებებისა და განკარგულებების) პროექტების განხილვა</p>	<p>რეგლამენტის შესაბამისად</p>	<p>საკრებულოს აპარატი, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს კომისიები და ფრაქციები, გამგეობის იურიდიული სამსახური, საკრებულოს თავმჯდომარე</p>
21	<p>მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მ/წლის სამუშაო გეგმების საკრებულოს ბიუროზე განხილვა-დამტკიცება</p>	<p>იანვარი</p>	<p>საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები , საკრებულოს ბიურო, საკრებულოს თავმჯდომარე</p>
22	<p>„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვა.</p>	<p>იანვარი</p>	<p>გამგეობის სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარე</p>
23	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა</p>	<p>იანვარი</p>	<p>გამგეობის სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარე</p>

24	<p>„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვა</p>	იანვარი	<p>გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის სამსახურის ხელმძღვანელი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარე</p>
25	<p>ბიუჯეტიდან სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 მაისის №31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვა.</p>	იანვარი	<p>გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარე</p>
26	<p>„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვა.</p>	თებერვალი	<p>გამგეობის ქონების მართვის სამსახური ხელმძღვანელი, საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე</p>

27	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის განხილვა-დამტკიცება</p>	<p>პერიოდულად</p>	<p>გამგეობის ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე</p>
28	<p>მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის განხილვა</p>	<p>თებერვალი</p>	<p>მუნიციპალიტეტის გამგებელი, გამგეობის სამსახურების ხელმძღვანელები, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები, საკრებულოს თავმჯდომარე</p>
29	<p>საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების ფონდიდან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების შესაბამისად განსახორციელებელი პროექტების განხილვა</p>	<p>თებერვალი</p>	<p>გამგეობის საფინანსო, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურების ხელმძღვანელები, საკრებულოს საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიების თავმჯდომარეები, საკრებულოს თავმჯდომარე</p>

30	<p>„ ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე" საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა</p>	თებერვალი	<p>გამგეობის ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე</p>
31	<p>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების შესაბამისად განსახორციელებელი პროექტების განხილვა</p>	თებერვალი	<p>მუნიციპალიტეტის გამგებელი, გამგეობის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელები. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიების თავმჯდომარეები</p>
32	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიშის განხილვა.</p>	მარტი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, გამგეობის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარე</p>

33	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტის განხილვა.</p>	<p>მარტი</p>	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურისა და საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელები, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარე</p>
----	--	--------------	--

საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან
გიგინეიშვილი
